დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109240881**
თარიღი:**28/03/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების გეგმის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა და ცნობად მიიღო, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების გეგმის ანგარიში დანართის თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ

ანგარიში

2022 წლის 18 ნოემბრის N108.1082232217 ბრძანებით დამტკიცებული, 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის და მასში 2023 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, დმანისის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ გამოცხადდა 81 ელექტრონული ტენდერი საერთო ღირებულებით 13004001 (ცამეტი მილიონ ოთხი ათას ერთი) ლარი.

9693912 (ცხრა მილიონ ექვსას ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაას თორმეტი) ლარის ღირებულების 59 ელექტრონული ტენდერი შედგა და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურების სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების 226 შესყიდვა განხორციელდა, საერთო ღირებულებით 2495104 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი თას ას ოთხი) ლარი, მათ შორის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების საფუძვლით, სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესყიდვის მიზნით გაფორმებული იქნა 58 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 1728126,38 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დმანისის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელდა 31 შესყიდვა საერთო ღირებულებით 2495810 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას რვაას ათი) ლარი.

2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2023 წელს, საერთო ჯამში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 14684826 ლარის შესყიდვა.

დმანისის მერიის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების 66% განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 17% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 17% განხორციელდა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.